სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N5, 08/04/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 10/04/2019 წ. N ბ/1-01/11 ბრძანებით

შესავალი

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი სტრატეგიის დანიშნულებაა, ჩამოაყალიბოს კვლევის განხორციელების ზოგადი პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებსა და კვლევების განხორციელების პირობებს. აღნიშნული სტრატეგია მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის გრძელვადიანი პერსპექტივით გათვლილი სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი სამუშაოებისათვის პრიორიტეტების განსაზღვრას, მათი ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების დადგენასა და მხარდამჭერი აქტივობების უზრუნველყოფას.
სტრატეგია ეყრდნობა კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის შეფასების ინდიკატორებს. ძირითადი ამოცანები მოიცავს აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას, კვლევითი სამუშაოების აქტუალიზაციასა და გამჭვირვალობას. ასევე, პრიორიტეტულია კვალიფიციურ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში / ფორუმებში / სიმპოზიუმებში მონაწილეობა, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში პუბლიკაციების გამოქვეყნება და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობით სასწავლო უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის გაზრდის საკითხი.

კვლევითი საქმიანობის განვითარების ხედვა

კვლევითი საქმიანობა საუნივერსიტეტო განათლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც მხარდაჭერილია, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ისე მათგან დამოუკიდებლად. სწავლების პროექტული და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა ხელს უწყობს კვლევითი აქტივობების წახალისებას სასწავლო პროცესში და სტუდენტებში კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო უნარების განვითარებას.
გარდა საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებული კვლევითი კომპონენტისა, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული კვლევითი საქმიანობის ცენტრის მიერ. კვლევითი საქმიანობის ცენტრი ორიენტირებულია ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებაზე. ცენტრის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი კვლევითი პროექტები ფოკუსირებულია საზოგადოებრივი საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი დარგების განვითარებაზე. კვლევითი საქმიანობის ცენტრი მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება კვლევის შემდეგი სფეროებით:
•სოციალური მეცნიერებები
•ჰუმანიტარული მეცნიერებები
•სამართალი
•მენეჯმენტი
•ინოვაციური ტექნოლოგიები

კვლევითი საქმიანობის ცენტრი ატარებს საჯარო პრეზენტაციებს განხორციელებული კვლევების შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და საკვლევი საკითხების შესახებ დისკუსიის ხელშეწყობას.
სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მრავალმხრივი გამოცდილება (იხ. დანართი), რაც ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ცენტრის წარმატებით ფუნქციონირებას. კვლევით საქმიანობაში, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად, ჩაერთვებიან სტუდენტები, მოწვეული სპეციალისტები და კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები. სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის პირობა ითვალისწინებს უნივერსიტეტის სახელით ჩართულობას, რასაც ადმინისტრირებას უწევს კვლევითი საქმიანობის ცენტრი.
კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად.

კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციული მხარდამჭერი მექანიზმები

სასწავლო უნივერსიტეტი ქმნის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ სისტემას, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება კვლევებზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქციები, კვლევის შეფასების ინდიკატორები, საგრანტო პროექტებში მონაწილეობის პირობები, კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროები, საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, აკადემიური პატიოსნება და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ამასთან, კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების მისანიჭებლად პრიორიტეტების განაწილება, კვლევითი საქმიანობის შეფასება, პლაგიატის გამოვლენისას მასზე ქმედითი რეაგირება და სხვ.
სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და ერთიანი ხედვის გათვალისწინებით, ვიცე რექტორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის რეალიზებისა და დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაციას, აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებებათა განხორციელების ორგანიზაციულ და საინფორმაციო მხარდაჭერაზე მონიტორინგს.
კვლევითი საქმიანობის ცენტრის ხელმძღვანელი, ვიცე რექტორთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტში სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით კვლევების განხორციელებას, თანამშრომლობს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან და დონორ ორგანიზაციებთან. კვლევითი საქმიანობის ცენტრი, აკადემიური პარტნიორობის ფარგლებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით, აორგანიზებს შეხვედრებს შესაბამის სფეროში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.
დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების მიზნით დაგეგმილი და/ან უკვე განხორციელებული კვლევითი სამუშაოების შესახებ კვლევითი საქმიანობის ცენტრი ვიცე რექტორთან შეთანხმებით, განსაზღვრავს საკომუნიკაციო საშუალებებს, ხოლო მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს შესაბამის აქტივობების დაგეგმვა-რეალიზებას.

სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია:
1. საერთო ბიუჯეტიდან კვლევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი გეგმური დაფინანსება;
2. გარე საშუალებებით მოძიებული ფულადი სახსრები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საბჭო განიხილავს კვლევის ავტორის განაცხადს და გადაწყვეტილებას იღებს დაფინანსების შესახებ. კვლევითი საქმიანობის წარმატებით განსახორციელებელი პროცედურებია:
ა) საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;
ბ) ცენტრში შემოსული განცხადებების გამჭვირვალე განხილვა;
გ) კონკურსის საფუძველზე შერჩეული განაცხადის დაფინანსება.
საბჭო იკრიბება ვიცე რექტორის მოწვევით წელიწადში ერთხელ, საგრანტო კონკურსის განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით საჭიროებისამებრ დასაშვებია რიგგარეშე სხდომის მოწვევა. კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა-დაფინანსებისა და შეფასების პროცესებს მონიტორინგს უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური.

კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციული მხარდაჭერა

კვლევითი საქმიანობის ცენტრი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების, კონფერენციებისა და კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, ატარებს კონსულტაციებს და ეხმარება სასურველი სამეცნიერო გრანტების მოძიებაში.
აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებისა და კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სატრენინგო მომსახურებას რამდენიმე მიმართულებით:
ა) სამეცნიერო და აკადემიური უნარების განვითარება;
ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დიზაინი;
გ) დონორებთან ურთიერთობა და სამეცნიერო გრანტების მართვა.
აკადემიური პატიოსნების უზრუნველყოფა ექვემდებარება სასწავლო უნივერსიტეტის დებულებითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დანართი
სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ განხორციელებული, მიმდინარე და სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიში
მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის და სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამების აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესებია:
•საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია
•საზოგადოებრივი აზრი
•ორგანიზაციული მართვა
•ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა
•შრომის ბაზრის მოთხოვნები

•დამსაქმებლებისა და აკადემიური/პროფესიული სწავლების ურთიერთკავშირი
•მენტორინგი აკადემიური განათლების მიმართულებით
•განათლება
არაფორმალური განათლება
•აღქმის ფილოსოფია
•ილუზიის ფილოსოფია
•ვიზუალური კომუნიკაცია / კომუნიკაციის ისტორია
•ბიბლიური მენეჯმენტი, გავლენა თანამედროვე სამყაროზე
•სემიოტიკა
•სოციოლოგიის თეორია და ისტორია
•აჯარო მმართველობა
•პოლიტიკური მეცნიერებები
•გენდერი
•დემოკრატიული ფასეულობები
•კრიტიკული აზროვნება
•ქართული ენა და ლიტერატურა
•საზღვარგარეთის ლიტერატურა
სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის პროგრამის აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესებია:
•სახელშეკრულები სამართალი
•სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული სამართალი
•საკოლიზიო სამართალი
•სამართლის თეორია
•სამართლის ფილოსოფია
•საგადასახადო სამართალი
•სისხლის სამართლის პროცესი
•სისხლის სამართალი
•კრიმინალისტიკა და კრიმინოლოგია
•ამერიკული სამართალი
•განათლების სამართალი
•ამერიკის ლიტერატურა
•ლინგვისტიკა

სასწავლო უნივერისტეტის აკადემიურ, აფილირებულსა და მოწვეულ პერსონალს თავიანთი დარგის მიმართულებით განხორციელებული აქვთ მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობა. მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

•მკვლევართა საერთაშორისო ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული (ბოსტონი)
•აბრეშუმის გზის მე-12 საერთშორისო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის„დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა თანამედროვე გამოწვევებირეგიონალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების ჭრილში“ მასალები (იბსუ)
•International Journal of Arts and Sciences

•Research Association for Interdisciplinary Studies
•IBSU Journal of Humanities
•IBSU Journal of Business
•Legal Journal of the Supreme Court of Georgia and of the Judges
•International Journal Education Policy, Management and Quality
•International Journal of Advanced Engineering Research and Science
•Journal of Biology
•Journal of Economics
•სამეცნიერო შრომების კრებული (კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა)
•კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე
•საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი Litinfo
•საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“
•საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“
•საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,საისტორიო ვერტიკალები“
•საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ..სოციალური ეკონომიკა“
•სამეცნიერო ჟურნალი ,,მედია, პოლიტიკა, საზოგადოება“
•სამეცნიერო ჟურნალი ,,ხელისუფლება და საზოგადოება“
•საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“
•ჟურნალი „მართლმსაჯულება“
•ჟურნალი „სამართალი“
•„სამართლის ჟურნალი“
•ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“
•ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“
•ქართულ– ბრიტანული უნივერსიტეტის „სამეცნიერო შრომათა კრებული“
•ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“
•სტატიათა კრებული (თსუ)
•სამეცნიერო შრომების კრებული (კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა)
•ჟურნალი „ენა და კულტურა“
•კრებული ,,ამერიკის შესწავლის საკითხები“
•ჟურნალი ,,წელიწდეული“
•ჟურნალი „კავკასია და მსოფლიო“

სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლექტორები არიან სხვადასხვა მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორები, თანაავტორები, რედაქტორები და მთარგმნელები; ასევე, მიღებული აქვთ მონაწილეობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იმ ქვეყნებს შორის, სადაც სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორებს წარდგენილი აქვთ თავიანთი სამეცნიერო კვლევები, არის:
•ამერიკის შეერთებული შტატები
•გერმანია
•ავსტრია
•ნორვეგია

•პოლონეთი
•შვეიცარია
•იტალია
•საფრანგეთი
•ბაქო
•თურქეთი
•უკრაინა

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს აქვს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისა და მათი მხარდაჭერით არაერთი პროგრამის, პროექტისა და კვლევის წარმატებით განხორციელების გამოცდილება. იმ ფონდებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთა მხარდაჭერითაც სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორებს განახორციელებული აქვთ სხვადასხვა პროექტები, არიან:

•შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
•ინტერაქტიულობის ფონდი (Interactivity Foundation)
•კონრად ადენაუერის ფონდი
•საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისფონდი (რონდელის ფონდი)
•ფრიდრიხ ებერტის ფონდი
•Wilhelm Hahn und Erben Stiftung
•UNICEF
•UNDP
•NDI
•NCDC
•GIZ
•მსოფლიო ბანკი
•ევროკავშირი

სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის და სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამების აკადემიური პერსონალის მიმდინარე და/ან სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი პროექტებია:

•საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც ორმხრივი კომუნიკაციის როლიმართვაში
•საჯარო და კერძო სექტორში საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრუქტურულიერთეულის ფუნქციები
•კომუნიკაციები საჯარო სექტორში
•კულტურის სფეროს განვითარებაში საქართველოს სახელმწიფო ორგანოთასაქმიანობის სრულყოფის გზები
•სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და სანდოობა
•განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კვლევა
•განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედების კვლევები
•ორგანიზაციული კვლევები: შიდა კომუნიკაცია, თანამშრომლების მოტივაცია

•საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ დაპოლიტიკურ მიზნებში
•პიროვნული განვითარების საკითხები გენდერულ კვლევებში
•ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების პრობლემები და კომპენსაციისდარეგულირების ფსიქო-სოციალური ფაქტორები
•კგბ-ს თეოლოგია
•მოსეს მენეჯმნეტი
•კომუნიკაციის სოციოლოგია
•ინფორმაციული საზოგადობა და ციფრული სოციოლოგია
•სოციალური პასუხისმგებლობის როლი ქართულ ბიზნეს კომპანიებში
•ბიზნეს ეთიკის კოდექსების შემუშავება წამყვან კომპანიებში
•ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლა-სწავლებისმეთოდოლოგია
•ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლა საზღვარგარეთის ლიტერატურისკონტექსტში
სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის პროგრამის აკადემიური პერსონალის მიმდინარე და/ან სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი პროექტებია:
•მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი - სახეელმძღვანელოს მე-2 გამოცემისმომზადება
•საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მუხლობრივი კომენტარითანამედროვე სამართლის ჟურნალის (შზსუ-ის პერიოდული გამოცემა) მეორეგამოცემის მომზადება
•სამართლის შესავალი კურსის სახელმძღვანელოს მომზადება
•ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები
•არასრულწლოვანთა ბულინგი, ჩვენი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესიპრობლემა და მასთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულაციები
•ცალკეული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა და საყოველთაოდ აღიარებულიადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფარგლები
•ტერორიზმის თანამედროვე გამოწვევები და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისსამართლებრივი რეგულაციების თავისებურებები